დღეს ნომერში:

ნორჩ მოთხილამურეებს ფრთები შეესხათ

მე-2 გვ.

თბილისის ფეხბურთელებმა შედეგები შეაჯამეს

მე-3 გვ.

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · sportowiec · Советский спорт

მე-4 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 25 (5315)

1975 წ.
5 თებერვალი,
ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მე-4 გვ.

თქვენთვის ამ ფეხბურთელების გაცნობა ზედმეტად მიგვაჩნია. ისინი ალბათ ერთი შეხედვით იცანით. წინა პლანზეა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორის, პოლონეთის ნაკრების კაპიტანი კაზიმეჟ დეინა. მას მეორე კაპიტანი, ბრაზილიელი მარიო მარინიო ხდარაჯობს, მარცხნივ კი მარინიოს თანაგუნდელი ჟაირზინიო ელის ბურთს.

პოლონეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მატჩის ერთ-ერთი მომენტის ამსახველი ეს სურათი ვარშაველმა ფოტოკორესპონდენტმა ტ. პრაჟმოვსკიმ სპეციალურად ჩვენი გაზეთისთვის გადაიღო.

(ჩვენი კორესპონდენტის საუბარი დეინასთან იხ. მე-3 გვ.).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

98:96

მინსკი, 3 თებერვალი. დაძაბული აღმოჩნდა ადგილობრივი რტი-სა და თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდების პირველი მატჩი. თბილისელები თავიდანვე დაწინაურდნენ უმთავრესად ბიჭიაშვილის ზუსტი სროლების წყალობით. მაგრამ დაახლოებით 10 წუთის შემდეგ თამაში გათანაბრდა. პირველი ტაიმის მიწურულს „დინამომ" რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელა და შესვენებაზე 5-ქულიანი მარაგით წავიდა — 48:43.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა სხვაობა კიდევ უფრო შეამცირეს. კრიტიკული მომენტი ამ მატჩში 22-ე წუთი იყო, როცა ქულათა სხვაობა მინიმუმამდე დავიდა — 48:47. ამის შემდეგ თბილისელებმა, განსაკუთრებით კი მ. ქორქიამ და პულავსკიმ, რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს და „დინამო" ისევ დაწინაურდა — 58:52.

ამ მომენტიდან მდგომარეობის ბატონ-პატრონები თბილისელები არიან. 34-ე წუთზე სხვაობა 18 ქულამდე გაიზარდა — 92:74. დინამოელები დამშვიდნენ — მატჩი უკვე მოგებული ჩანდა, მაგრამ რტი-მ არ დათმო ბრძოლა. და აი, მოხდა მოულოდნელი რამ: დარჩენილ ექვს წუთში თბილისელებმა მხოლოდ 6 ქულა აიღეს, მეტოქეებმა კი — 22. მატჩის საბოლოო შედეგია 98:96 „დინამოს" სასარგებლოდ.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ქარაბაკი, რომელმაც თავის კოლექტივს 27 ქულა შესძინა. რტი-ში ამ მხრივ თავი გამოიჩინა შერევერამ — 23 ქულა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ."	22	19	3	1878—1528	19
ცსკა	22	18	4	2085—1800	18
„დ." (თბ.)	21	17	4	1811—1724	17
„დ." (მ.)	22	15	7	1873—1734	15
„ჟალგირ."	22	11	11	1860—1922	11
რტი	27	9	18	2237—2413	9
„სტროიტ."	24	8	16	1974—2029	8
„კალევი"	20	7	13	1619—1644	7
„სტატიბა"	24	5	19	1867—2139	5
„ურალმ."	18	2	16	1462—1733	2

ალექსანდრე მეტრეველი — მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში!

მე-4 გვ.



კარპოვ — ფიშერის მატჩის ირგვლივ

3 თებერვალს გავიდა ვადა მეტოქეთა მიერ ასპარეზობის მასპინძელი ქალაქის არჩევისა, სადაც 1 ივნისს უნდა დაიწყოს მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის.

როგორც განაცხადა ფიდე-ს წარმომადგენელმა ამსტერდამში, აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციამ ფიდე-ს აცნობა, რომ ფიშერი შეჯიბრების მასპინძლად ამჯობინებს მანილას (ფილიპინები). ანატოლი კარპოვმა კი მილანი (იტალია) დაასახელა.

ფიდე-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფიშერის არჩევანი არ შეიძლება ოფიციალურად ჩაითვალოს, ვინაიდან მას, კარპოვისგან განსხვავებით, განაცხადზე ხელი არ მოუწერია. ეს განაცხადი შეადგინა ამერიკის ჭადრაკის ფედერაციის დირექტორ-აღმსრულებელმა ე. ედმონდსონმა.

როგორც ფიდე-ს წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, აშშ-ს ფედერაციის დეპეშა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ფიშერსა და საერთაშორისო ჭადრაკო ფედერაციას შორის მიღწეულია თანხმობა 1974 წელს ნიცაში ფიდე-ს კონგრესის მიერ დამტკიცებული მატჩის რეგლამენტის შეცვლის თაობაზე ჩემპიონის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, ფიშერს სურს, რომ კარპოვთან მატჩში პარტიების რაოდენობა შეზღუდული არ იყოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ანგარიში 9.9 იქნა, ჩემპიონობა მან შეინარჩუნოს. ეს ნიშნავს, რომ ჩემპიონი მოითხოვს ორქულიან ფორას, ვინაიდან პრეტენდენტმა ამ შემთხვევაში უნდა გაიმარჯვოს ანგარიშით 10:8 მაინც.

ე. ედმონდსონმა, უცხოეთის სააგენტოების ცნობით, ნიუ იორკში განაცხადა, რომ ფიშერი ჯიუტად მოითხოვს მისი წინადადების მიღებას, მოითხოვს, რომ მომავალი მატჩის წესები, რაც, მისი აზრით, შესაცვლელია, კიდევ ერთხელ განიხილონ.

ფიშერმა, ედმონდსონის სიტყვებით, განაცხადა, რომ უარს იტყვის კარპოვთან თამაშზე, თუ წესები უცვლელი დარჩა.

მატჩის ადგილის საკითხში ფიდე საბოლოო გადაწყვეტილებას 17 თებერვალს მიიღებს. (საკდესი).

6:1, 6:0

ჰელსინკი, 3 თებერვალი. ტურკუსა და ტამპერეში გაიმართა ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების კალენდარული მატჩები გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. ორივე შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს: ტურკუში ანგარიშით 6:1, მეორე დღეს ტამპერეში — 6:0.

პირველ თამაშში შაიბები გაიტანეს: პოუზარმა, მარტინეცმა, მ. შტიასტნიმ, ი. ჰლინკამ, ბ. შტიასტნიმ, ი. ნოვაკმა და ფინელმა ლინოსმაამ, მეორეში — მ. შტიასტნიმ (2), მარტინეცმა, ნოვიმ, ბუბლამ, პოუზარმა.

მეკარის ხსოვნის აღსანიშნავად

საინტერესოდ ჩატარდა ოჩამჩირის სკოლების პირველობა ფეხბურთში გამოჩენილი მეკარის ა. ტყებუჩავას სახელობის პრიზზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მე-2 და მე-3 სკოლების გუნდები. გაიმარჯვეს მესამესკოლელებმა, რომელთაც პრიზი გადასცა ა. ტყებუჩავას შვილმა — გ. ტყებუჩავამ.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ: საუკეთესო მეკარე ა. გარაშვილი, მცველი მ. ლაკერბაია, ნახევარმცველი ი. ლოგუა, თავდამსხმელი ბ. ხარჩილავა, ბომბარდირი ვ. დარასელია, პერსპექტიული მოთამაშე ვ. ეფენდოპულო.

რ. ჭედია.
(ჩვენი კორ.).

ოჩამჩირე.

შზილავა ლიდერთა ჯგუფში

ლვოვი, 4 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ადგილობრივ ოფიცერთა სახლში მეორე კვირაა მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში ახალგაზრდა ოსტატთა შორის. თამაშობს 16 მოჭადრაკე. ყველას სურს მოხვდეს ქვეყნის ნაკრებში, რომელიც ზაფხულში სტუდენტთა გუნდურ მსოფლიო პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

ტურნირში თამაშობენ თბილისელი ოსტატებიც: საქართველოს ჩემპიონი ე. უბილავა და 20 წლის გ. ზაიჩიკი.

7 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია ოსტატი ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა) — 6 ქულა. ახალი წლის დამდეგს ვილნიუსში ევგენიმ ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. იგი ახლაც შედეგიანად თამაშობს.

ალმაათელ ჭაბუკს კვალში მიჰყვება ე. უბილავა — 5 ქულა. ელიზბარის სატურნირო მდგომარეობა ბუნდოვანი იყო, რადგან ოთხი პარტია გადადებული ჰქონდა. გუშინ ამ დაუმთავრებელ პარტიებში მან 3,5 ქულა მოაგროვა და ლიდერთა ჯგუფში მოხვდა.

4,5-4,5 ქულა აქვთ სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა შარშანდელ ჩემპიონს ს. პალატნიკსა (ოდესა) და ლვოველ მ. მიხალჩიშინს.

წარუმატებლად თამაშობს ზაიჩიკი. მას 1 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს,

პატარების დიდი ზეიმი

ბაკურიანი, 3 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოთხილამურეთა 38-ე ჩემპიონატის მეორე დღის პროგრამაში იყო რბოლები, 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა და სწრაფდაშვება.

ვიდრე ამ დღის შედეგებს გაგაცნობდეთ, გვინდა გიამბოთ ერთ ასპარეზობაზე, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდა. ეს გახლდათ 16 წლისა და უფრო მცირე ასაკის „მფრინავ მოთხილამურეთა“ რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც ამჯერად განსაკუთრებით მასობრივი იყო. სტარტზე გამოვიდა 28 მოზარდი, მათ შორის მხოლოდ ორი მესტიელი. დანარჩენები ბაკურიანის „დინამოს“ სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები იყვნენ, რომელთაც სპორტის ოსტატები: საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონი მ. გავა და ზ. თვაური ავარჯიშებენ.

პატარებისთვის მთელი შეჯიბრება ისე მოეწყო, როგორც კარგად ორგანიზებულ რესპუბლიკურ ტურნირს შეეფერება. სამსაჯოდ მოვიდნენ საკავშირო მასშტაბით ცნობილი არბიტრები, აგრეთვე, სახელგანთქმული მოთხილამურე, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. წაქაძე.

მოზარდებისთვის ეს ნამდვილი ზეიმი იყო და მათაც თავი არ დაუზოგავთ, ცდილობდნენ თავიანთი ძალა და უნარი მთლიანად ეჩვენებინათ მაყურებლებისა და სპეციალისტებისთვის. გამარჯვების ზეიმი საღამოს იმით დამთავრდა, რომ უძლიერესები საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს.

შეჯიბრება სპორტსკოლის ძალებით აგებულ 30-მეტრიან ტრამპლინზე ჩატარდა. მაყურებელი საკმარისზე მეტი იყო. ისინი გულდაწყვეტილი არ დარჩენილან: ეს იყო იმედის მომცემი შეჯიბრება, რომელმაც გვაფიქრებინა, რომ ჩვენს რესპუბლიკას ტრამპლინიდან მხტომელთა კარგი თაობა ეზრდება.

თავი ისახელა ბაკურიანის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლემ გ. დიაკონაშვილმა, რომელმაც ამას წინათ სასკოლო პირველობაში II ადგილი დაისაკუთრა, აქ კი ყველას აჯობა. იგი 28,5 და 27,5 მეტრზე გადახტა, სტილითაც ყველაზე უკეთესი იყო და საბოლოოდ 220,5 ქულა მოაგროვა. მეშვიდეკლასელ ვ. ელბაქიძეს (ნახტომები — 28 და 26 მ) დიაკონაშვილმა 8 ქულით გაასწრო. III-IV ადგილები გაიყვეს სპორტსკოლის ამასწინანდელ პირველობაში გამარჯვებულმა მეხუთეკლასელმა ა. ბარბარიანმა და მეშვიდეკლასელმა ბ. ნაგოგამ. თითოეულმა 206,5 ქულა მოაგროვა, თუმცა ნახტომების ჯამში ნაგოგას ნახევარი მეტრით უკეთესი შედეგი ჰქონდა.

საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეებმა კი ვერაფრით გაგვახარეს. დღეს ქალები 5 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვაჟები კი 15 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. შედეგები არც ერთ ამ შეჯიბრებაში არ იყო სახარბიელო. ქალთა შორის, ისევე როგორც გუშინ, რესპუბლიკის ჩემპიონობა დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა ნ. ბალაშვილმა (გარდაბნის რაიონი, პირადი). მისი შედეგი — 18.35 — ბევრად სჯობს მეორე პრიზიორის, ბოგდანოვკელი ნ. ვასილენკოვას მაჩვენებელს (22.25), რომელმაც თავის დას ლიუდმილას მხოლოდ 3 წამით აჯობა. მაგრამ ვასილენკოვების მიმართ საყვედური მაინც არ გვეთქმის: ეს ქალიშვილები რესპუბლიკურ შეჯიბრებებში პირველად წლეულს გამოვიდნენ და უკვე რამდენიმე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ასეა თუ ისე, პირადი ტურნირები მაინც დაძაბულია, განსაკუთრებით საპრიზო ადგილების მიღწა დარჩენილთა შორის. გუნდურ შეჯიბრებაში გაკვირვებას იწვევს ასპარეზობის მასპინძლების — ბორჯომის რაიონის კოლექტივის წევრთა გულგრილობა. ეს კოლექტივი რბოლებში ორი დღის ჯამში IV ადგილზეა იმის გამო, რომ დღეს სრულად დაკომპლექტებული გუნდები ვერ გამოიყვანა. მას გაუსწრეს თბილისის, ბოგდანოვკისა და მესტიის სპორტსმენებმა.

აქვე ტარდება რესპუბლიკური ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. დღეს მოეწყო სწრაფდაშვება მხოლოდ ვაჟებისთვის, ვინაიდან მსაჯთა კოლეგიამ მოუმზადებლობის გამო სტარტზე არც ერთი ქალი არ დაუშვა.

2800-მეტრიან მანძილზე ყველაზე გაბედულად დაეშვა ბორჯომის გუნდის წევრი ზ. მაკიევი — 1.40,7. 26 მონაწილეს შორის მან ერთადერთმა აჩვენა 1 წუთსა და 41 წამზე ნაკლები დრო. თბილისელმა სპორტის ოსტატმა ა. სტეპანიანმა საბოლოოდ მაკიევთან 0,6 წამი წააგო და II ადგილს დასჯერდა. სტეპანიანს სულ რაღაც 0,2 წამით ჩამორჩა ნ. ჯეირანაშვილი (ბორჯომი), რომელიც შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე ოსტატდება.

დღეს ბრძოლა დაამთავრეს ტრამპლინიდან მხტომელებმა. ამჯერად ისინი 90-მეტრიან ტრამპლინზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გუშინდელ შეჯიბრებაში გამარჯვებული, თბილისელი ა. გავა, რომელიც ასპარეზობის დროს დაშავდა, სტარტზე აღარ გამოსულა, მაგრამ ამას ბრძოლის სიმწვავე იოდნავაც არ შეუნელებია. ახალგაზრდებმა გულდაგულ შეუტიეს ფავორიტებს. ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონი მ. გავა (ბორჯომი) III ადგილს დასჯერდა — 178 ქულა (ნახტომები — 82 და 87 მ). ჩემპიონობა მოიპოვა ახალგაზრდა სპორტსმენმა მ. ბაკაევმა (ბორჯომი). ამ ორიოდე დღის წინათ გორკში, სადაც „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მიმდინარეობდა, 80-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მან საერთო VIII ადგილი დაისაკუთრა, ხოლო შემდეგ მესამე იყო 50-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელ ჭაბუკთა შორის. და აი, დღეს, მევლუდი, რომელმაც გუშინ 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მონაწილეობა ვერ მიიღო (გორკიდან საღამოს დაბრუნდა), ჯერ 99 მეტრზე გადახტა, შემდეგ — 97,5 მეტრზე და 214,5 ქულით რესპუბლიკის ჩემპიონის სახელიც პირველად მოიპოვა. II ადგილზეა პ. ბაკაევი (თბილისი) — 196,5 ქულა (91,5 და 96 მ).

ო. გელაშვილი.

• • •

ტექნიკური შედეგები

15 კმ-ზე რბენა. ა. მოროზოვი — 50.18, ო. დიაკონაშვილი — 52.11, ა. კალმიკოვი (ყველა — თბილისი) — 52.32.

* * *

სურათზე: ნ. ბალაშვილი ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

რამდენიმე სტრიქონით

ზესტაფონი

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიზნით სოფელ კვალითის საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოაწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: კვალითი — ვაკნარი — საფშალია — მარნები — კვალითი. ლაშქრობაში მონაწილეობდნენ IX-X კლასების მოსწავლეები. ნორმატივები 45 მოსწავლემ ჩააბარა.

ა. განუგრავა.

საკლესი მოგვითხრობს

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

სახელოვანი პარტიზანის მემორიალი

სასკოლო არდადეგების დღეებში ეს უკვე მეოთხე წელია ტარდება ნორჩ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის გმირის, ცნობილი პარტიზანის მარიტე მელნიკაიტეს სახელობის პრიზზე, რომელიც ლიტვის დედაქალაქის კომკავშირის კომიტეტმა დააწესა.

...1942 წლის ივლისი იდგა. ზარასაიელი მარიტე მელნიკაიტე პარტიზანობისთვის ემზადებოდა.

— ყველაფერი უნდა ვიცოდე, ყველაფერი უნდა შემეძლოს, რათა მტერს გასაქანი არ მივცე, შეუბრალებლად ძოვსპო, — ამბობდა მარიტე. — მინდა მალე ვიძიო შური ყველა გაჭირვებისთვის, რაც მტრებმა ჩემს სამშობლოს დაატეხეს თავს.

1943 წლის მაისში, როცა პირველი ჯგუფი გადაისროლეს ლიტვაში, ოკუპანტების ფეხქვეშ მიწა იწვოდა. ჰაერში აფრინდა იარაღის საწყობები და სამხარი მასალით დატვირთული ეშელონები, განადგურდა სატელეფონო კავშირი. 20 წლის პარტიზანთა წინამძღოლში ჰიტლერელები უამრავ ფულს ჰპირდებოდნენ მოღალატეებს.

7 ივლისს წარმატებით დამთავრებული ოპერაციის შემდეგ პარტიზანთა რაზმი უშიშარ ადგილას თავის შესაფარებლად მიდიოდა, მაგრამ, ჯაშუშებისგან გაყიდულს, ალყა შემოარტყეს. 6 საათს გაგრძელდა უთანაბრო ბრძოლა... მარიტე მარტო დარჩა. თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ვაზნები გაუთავდა. მამაც პარტიზანს უკანასკნელმა ხელყუმბარამაც უმტყუნა — არ აფეთქდა.

ნორჩი პარტიზანის ნებისყოფა ვერავითარმა წამებამ ვერ გატეხა. 13 ივლისს იგი სახრჩობელასთან მიიყვანეს. ოფიცერმა ჯალათებს ბრძანებაც მისცა, მაგრამ ამ დროს მარიტე ჰიტლერელს მივარდა და კბილებით ჩააფრინდა, რადგან ხელები ეკლიანი მავთულით ჰქონდა შეკრული. უშიშარი ქალიშვილის სიცოცხლე ავტომატის ჯერმა შეწყვიტა.

დღეს ლიტვაში ძნელად თუ მოიძებნება ქალაქი, სადაც მარიტე მელნიკაიტეს ქუჩა არ იყოს. მის სახელს ატარებენ ფაბრიკები და ქარხნები, მეთევზეთა გემები, კოლმეურნეობები, პიონერთა რაზმები და რაზმეულები.

ამჯერად ნორჩი გმირის სახელობის თასი ლენინგრადელმა ტანმოვარჯიშეებმა მოიპოვეს.

პირად ჩათვლაში პირველობდნენ: ჭაბუკებში — 17 წლის ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ვ. ოვჩინიკოვი (104,6 ქულა), ქალიშვილებში (სარბიელზე გამოვიდა 23 ოსტატი და 11 ოსტატობის კანდიდატი) — 14 წლის მინსკელი სპორტის ოსტატი ს. ოკუნი — 72,5. ყველაზე ნორჩი მონაწილისთვის განკუთვნილი პრიზი ხვდა 11 წლის გროდნოელ სპორტსმენს ნ. გირიადკოვას.

ვილნიუსი.

სასკოლო „დელფინი“

მიჩურინსკში პირველ საშუალო სკოლასთან აგებულ ახალ აგურის შენობას ბავშვებმა გაუკეთეს ლამაზი აბრა წარწერით. „საცურაო აუზი „დელფინი“. ამ ახალ ბაზას საინტერესო ისტორია აქვს.

რამდენიმე წლის წინათ სკოლის დირექტორმა ვ. რუდენკომ ტურისტული საგზურით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმოგზაურა. გერმანელმა მეგობრებმა ბერლინის ერთ-ერთ გარეუბანში მას უჩვენეს სასკოლო საცურაო აუზი და ამ სპორტული ნაგებობის ნახაზებიც გადასცეს.

მიჩურინსკში დაბრუნებული დირექტორი მოელაპარაკა მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს, იყო შეფებთან — ლენინის სახელობის ქარხანაში. მის წინადადებას ყველა დაეთანხმა. მშობელთა კრებაზე აირჩიეს აუზის მშენებლობის საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი, გამოცდილი ინჟინერ-მშენებელი დ. ფროლოვი. იქვე შეთანხმდნენ. ყველას უნდა ემუშავა მშენებლობაზე ხუთ დღეს. ყველაზე მეტი ენთუზიაზმი თვით მოსწავლეებმა გამოიჩინეს.

სამშენებლო მასალები ლენინის სახელობის ქარხანამ გამოყო, მაგრამ არც ბავშვები ისხდნენ გულხელდაკრეფილი. ისინი აგროვებდნენ აგურს, ლორფს, ამავე დროს, პრემიაც მიიღეს ტერიტორიის დასუფთავებისთვის.

შრომის გაკვეთილებზე, არდადეგების დღეებში მოწყობილ შაბათობებზე ბავშვები მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად შრომობდნენ, უფრო რთულ საქმეს კი ქარხნის სპეციალისტები აკეთებდნენ.

და აი, დახურული აუზი მწყობრში ჩადგა. ფილებით მოპირკეთებული აბაზანის ფართობი 30×6 მეტრია. აუზს აქვს სამი 20-მეტრიანი ბილიკი, იქვე გვერდით არის სავარჯიშო დარბაზი და საშხაპეები.

უკვე შეიქმნა სასკოლო ცურვის სექცია, ტარდება საწვრთნელი მეცადინეობები. როგორ გაიხარეს ბავშვებმა!

მ. სტეპანოვი.

მიჩურინსკი,
ტამბოვის ოლქი.

...დაწესდეს ქართული ჭიდაობის დღე!

სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია. ეს სიტყვები ალბათ არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას. დღეს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებიც ხშირად უბრუნდებიან მერხებს და ცოდნას იღრმავებენ. ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტებიც, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ შეიქმნა საქართველოს სპორტკომიტეტის დადგენილებით.

ვერ ვიტყვით, რომ ეს უნივერსიტეტები ყველგან გამართულად მუშაობდნენ. ამის შესახებ თავის დროზე „ლელოს“ ფურცლებზეც იყო საუბარი. უდავოა, ჩამორჩენის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი მიზეზი გამოუცდელობაა, მაგრამ ამით თავის გამართლება არ შეიძლება. ამიტომ იყო, რომ ამ დღეებში თელავში გამართულმა ერთმა ღონისძიებამ განსაკუთრებით მიიქცია ჩვენი ყურადღება. ეს იყო ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივი უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა, რომელმაც თეორიული კონფერენციის ხასიათი მიიღო. კონფერენციას, რომლის თემაც იყო „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში“, ესწრებოდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის, ფედერაციის ბიუროსა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა თ. ჩოთალიშვილმა. „სპორტი, მისი არსი, მიზნები და ამოცანები სოციალისტურ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში“ — ასეთი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტის, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის ვ. ელაშვილის მოხსენება. ამავე საბჭოს წევრი ჟურნალისტი თ. გაჩეჩილაძე დამსწრეთ ესაუბრა სპორტული ჟურნალისტიკის საკითხებზე.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს იყალთოს საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის გ. შავიაშვილის მოხსენება „ჭიდაობა თელავში“. უნდა ითქვას, რომ მომხსენებელს საგულდაგულოდ შეუსწავლია ჭიდაობის ტრადიციები და კვლევის პროცესში მდიდარი მასალაც შეუკრებია სოფლებში.

კონფერენციის მონაწილეთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია ქართული ჭიდაობის წესების, ტერმინების, აბსოლუტური ჩემპიონის გამოვლენის ადგილობრივი მეთოდების, შეჯიბრების ორგანიზაციისა და სხვა საკითხების გაცნობამ.

კონფერენციაზე წამოაყენეს წინადადება, რომ სოფლებში გაფართოვდეს ღია საჭიდაო სარბიელთა ქსელი, დაწესდეს ქართული ჭიდაობის დღე.

თ. თენგოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

სპორტსმენთა აღზრდის კერა

ხაშურისა და სურამის მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი სიყვარულით სარგებლობს რაიონის ბავშვთა სპორტსკოლა (დირექტორი ა. პაიჭაძე).

სკოლაში მუშაობს ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, კლასიკური, თავისუფალი და ქართული ჭიდაობის, მაგიდის ჩოგბურთის სექციები, რომლებშიც 424 მოსწავლეა გაერთიანებული. ისინი წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგალითად, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში შედიოდნენ მძლეოსნები ნ. ნოზაძე, ნ. ჩოჩიშვილი, ლ. ხვედელიძე, მ. ლაბაძე, მოჭიდავე ნ. მაჭარაშვილი, ფეხბურთელი ზ. შანიძე, კალათბურთელი ნ. პაიჭაძე და სხვ.

მოსწავლეთა მიღწევები ბევრადაა დამოკიდებული მწვრთნელთა ცოდნასა და გამოცდილებაზე, სპორტსკოლის კალათბურთელი გოგონები 1957-59 წლებში, აგრეთვე, 1966 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წარმატებით რომ მონაწილეობდნენ, ეს, რა თქმა უნდა, მათი მწვრთნელის შ. ლურსმანაშვილის დამსახურებაც არის.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ სკოლას საჭირო ინვენტარი აკლია, რაიონში კი სპეციალიზებული სპორტული მაღაზია არ არის.

დ. მძინარიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ხაშური.

• • •

სურათებზე: პირველთანრიგოსანი კალათბურთელი, გორის პედინსტიტუტის გუნდის ყოფილი წევრი დ. ავსაჯანიშვილი მწვრთნელ შ. ლურსმანაშვილის მეთვალყურეობით ვარჯიშობს ბურთის ტყორცნაში; მწვრთნელი ა. პაიჭაძე მოსწავლეებს ამეცადინებს მაგიდის ჩოგბურთში.

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ჰიმნი ვიტრინასთან და გულახდილი დეინა

მოხდა ისე, რომ მსოფლიოს X საფეხბურთო ჩემპიონატიდან შინ დაბრუნებული სულ რამდენიმე დღის შემდეგ პოლონეთში აღმოვჩნდი. ცხადია, ყველას ახლახან დამთავრებული საინტერესო ასპარეზობა ეკერა პირზე. მით უმეტეს, რომ ჩემი მასპინძელი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია — დედამიწის უძლიერეს ნაკრებ კოლექტივებთან ჭიდილში III საპრიზო ადგილი დაიკავა. ღირსეულად დაიკავა. პოლონეთი მთელი სულითა და გულით ზეიმობდა, პოლონელები ჩვეული გულწრფელობითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით გამოთქვამდნენ აღტაცებას თანამემამულე ფეხბურთელთა მიზანსწრაფული, თავდადებული და ოსტატური თამაშის გამო... ეს იყო ნამდვილი ეროვნული დღესასწაული!

ვარშავის სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი უნივერსალური მაღაზიის ვიტრინაში გემოვნებით იყო გაკეთებული პატარა ექსპოზიცია — გამოფენა იმ ჯილდოებისა და სიგელებისა, რაც პოლონეთის ნაკრებს მოუტანა მსოფლიო ჩემპიონატმა. ამ ვიტრინასთან მუდამ უამრავი ხალხი იყრიდა თავს. იყო ერთი შემახილები! და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ ამ მედლების, თასებისა და პლაკატების შემყურე ახალგაზრდების კარგა მოზრდილმა ჯგუფმა ეროვნული ჰიმნი დააგუგუნა.

მოთამაშეები პირდაპირ ხელიდან ხელში გადადიოდნენ — არც დღისით და არც ღამით მოსვენება არ ჰქონდათ. ოფიციალური მიღებები მთავრობაში თუ მეგობრული მეჯლისები, შეხვედრები საწარმოებში თუ საღამოები სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში...

...ნაკრების კაპიტანი კაზიმეჟ დეინა აგარაკზე გასაქცევად, ესე იგი „არალეგალურ მდგომარეობაზე“ გადასასვლელად იღებდა სტარტს, როცა ტელეფონის ზარი, როგორც იქნა, მივაწვდინე (ამაში ჟურნალ „სპორტოვეცის“ თითქმის მთელი სამდივნო მეხმარებოდა). ასე იყო თუ ისე, საუბარი მოხერხდა...

● **საქართველოს სპორტული ჟურნალისტები გილოცავენ თქვენ და თქვენი სახით პოლონეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატებას და მომავალ წინსვლას გისურვებენ. რამ განაპირობა, თქვენი აზრით, პოლონეთის ეროვნული გუნდის ესოდენ დიდი მიღწევა მსოფლიო პირველობაში?**

— გულითად მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისა და კეთილი სურვილებისთვის. ჩვენი წარმატება ბევრ კარგად გააზრებულ ფაქტორზე იყო დაფუძნებული: გულდაგულ ჩატარებული მზადება, მაღალი ორგანიზაცია, ჩვენი „ინფორმაციის ბანკის“ უნაკლო მუშაობა. თანაბარი შემადგენლობა, შესანიშნავი ატმოსფერო კლუბებში, რომლებმაც ასეთი ლოზუნგი წამოაყენეს: „ყველაფერი ნაკრებისთვის!“, მწვრთნელ გურსკის უნარი — შეერჩია და შეექმნა მეგობრული კოლექტივი და... პატარა იღბალიც.

● **ჩემპიონატის მიწურულს თქვენს გუნდს ერთგვარი დაღლილობა დაეტყო, მაგრამ ამას ნაკრების მორალურ სიმტკიცეზე არ უმოქმედია. როგორ განეწყობოდით ხოლმე მატჩებისთვის და რანაირად მოახერხეთ დაღლილობის ზღუდის დაძლევა?**

— ჩვენ მხოლოდ ერთი კრიზისული მატჩი გვქონდა — შვეციის ნაკრებთან. გაგვიძნელდა ბოლო 30 წუთს ბრაზილიელებთან შეხვედრაშიც, მაგრამ ძალიან კარგად ვიყავით მომზადებული ფიზიკურად. ამავე დროს, უკვე ვირწმუნეთ მთავარი: ყველაზე ძლიერ გუნდებთანაც შეგვწევს ბრძოლის შნო და უნარი. აი, ეს რწმენა გვეხმარებოდა ყველაზე მძიმე მომენტებში.

● **თქვენი აზრით, რა სიახლენი მოგვიტანა X მსოფლიო ჩემპიონატმა?**

— ეს რთული საკითხია...

● **რას ფიქრობთ ტოტალურ ფეხბურთზე და ფეხბურთელის უნივერსალიზაციაზე?**

— აი, ეს იყო X ჩემპიონატის ლაიტმოტივი. ტოტალური ფეხბურთის ფორმულა, მარტივად რომ ვთქვათ, ასეთია: გამუდმებულ, მობილურ, კოლექტიურ მოძრაობაში უნდა შეეცადო არ გაუშვა ბურთი საკუთარ კარში და სწრაფი, მოქნილი შეტევითა თუ კონტრიერიშით რაც შეიძლება ბევრჯერ აიღო მეტოქის კარი. რაც შეეხება უნივერსალიზმს, ფეხბურთში ეს ისევე აუცილებელია, როგორც, მაგალითად, კალათბურთში, ჰოკეიში — ყველანი იცავენ, ყველანი უტევენ... მსოფლიო ფეხბურთს უკვე ბევრი ჰყავს ამ იდეალური ყაიდის მოთამაშე — ისინი ძალიან ტექნიკური არიან, სწრაფად დარბიან და ასევე სწრაფად აზროვნებენ, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, თანაც, ნებისმიერი როლის შესრულება ძალუძთ. ტოტალური ფეხბურთი თანამედროვე, დღევანდელი თამაშია.

● **რით ხსნით საბჭოთა ფეხბურთის დონის დაქვეითებას?**

— ნაკრები დატოვა რამდენიმე მოწინავე ფეხბურთელმა, მაგალითად, შესტერნიოვმა, ხურცილავამ... ასეთი დიდოსტატების შემცვლელთა პოვნა ძნელი საქმეა. ამავე დროს, საბჭოთა ნაკრებს ბედიც არ სწყალობს. მე ვნახე რამდენიმე თამაში მისი მონაწილეობით, სადაც საბჭოთა გუნდს დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გოლების გატანა ვერ შეძლო. ამ მთავარ საქმეს ფეხბურთელები თითქმის გადაეჩვივნენ. ჩემი აზრით, მდგომარეობა გამოსწორდება. საბჭოთა ქვეყანაში ხომ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია!

● **თქვენი აზრით, სწორად განაწილდა პირველი ოთხი ადგილი მსოფლიო ჩემპიონატში?**

— არა. მე ვფიქრობ, რომ ყველას სჯობდა ჰოლანდიის ნაკრები.

● **გთხოვთ დაასახელოთ საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი.**

— მაიერი, ბეკენბაუერი, ნეესკენსი, კრუიფი.

● **ვინ მიგაჩნიათ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად?**

— კრუიფი.

● **თუ შეიძლება, მოკლედ დაახასიათეთ პოლონეთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ყველა წევრი, გვითხარით მათი სპორტული და ადამიანური ჩვევების შესახებ...**

— იან ტომაშევსკი. კარგი ფიზიკური მონაცემებისა და ჩინებული რეაქციის მქონე მეკარეა, მაგრამ ზოგიერთ მეტოქეს არად აგდებს, აქაოდა სუსტიაო. ეს დიდი ნაკლია. პოლონეთის ნაკრების ყველაზე მხიარული წევრი. ძალიან უყვარს ეშმაკური ამბების გამოგონება. ანტონი შიმანოვსკი. მშვიდი, სოლიდური. ამავე დროს, სწრაფი. ფირფიტების ტრფიალი და თავგამოდებული კოლექციონერი. იეჟი გორგონი. ფიზიკურად კარგად მომზადებული, შეუდრეკელი და შეუპოვარი. მაგრამ მისი გადაცემები მუდამ როდი აღწევს მიზანს. ვლადისლავ ჟმუდა. ყველაზე დიდი სიურპრიზი — ეს ჩემპიონატი ხომ მისი დებიუტი იყო ნაკრებში. ტანმაღალი, საუცხოოდ თამაშობს თავით. იყო შემთხვევები, ყველაზე სახიფათო თავდამსხმელების მეურვეობა უხდებოდა. ადამ მუსიალი. მტკიცე, იმპულსური. ზოგჯერ ტაქტიკური ვალდებულებები ავიწყდება. მისი უარყოფითი თვისებაა მსაჯებთან ხშირი „მუსაიფი“. ზიგმუნტ მაშჩიკი. გუნდის ვეტერანი. შრომისმოყვარე. ძალიან „კოლექტიური“. ყველას უყვარს. პოლონეთის ჩემპიონის — ხოჟუვის „რუხის“ კაპიტანია. ჰენრიკ კასპერჩაკი. აი, მან მართლაც გამოიჩინა თავი ჩემპიონატში. ყველაფერს ხედავს, ყველაფერი შეუძლია. სახიფათოდაც ურტყამს, დაცვაშიც ძლიერია. რობერტ გადოხა. ჩემი მეგობარი კლუბში. აქვს დიდი გამოცდილება, კარგი დრიბლინგი, სწრაფია, ტექნიკური. ჩინებულად აწვდის კუთხურს. ესაა, რომ ზოგჯერ აქცევს აფერხებს. ანჯეი შარმახი. ლიუბანსკის შეცვლა იოლი როდია! გულადი, მამაცურად თამაშობს თავით, სწრაფია. ახალგაზრდაა და ტექნიკა უნდა დახვეწოს. გჟეგოჟ ლატო. ჩემპიონატის მეფე! მისთვის არ არსებობს დაკარგული ბურთი — ბოლო წამებამდე იბრძვის. მეტოქის კართან თამაშში კარგი ალღოთი გამოირჩევა. სწრაფი. მხიარული.

● **როგორია თქვენი მომავალი გეგმები კლუბშიც და ნაკრებ გუნდშიც?**

— ჩემი ნატვრაა 1975 წელს „ლეგია“ ეროვნული ჩემპიონატის პირველ სამეულში შევიყვანოთ. შემოდგომის რაუნდში ჩვენ არ გაგვიმართლდა. ნაკრებს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში I ადგილის დაკავებას ვუსურვებ. მეტოქენი ერთობ ძლიერი გვყავს — ჰოლანდია, იტალია... დასავლეთ გერმანიის მინდვრებზე ბრძოლების შემდეგ რევანშის სურვილიც ხომ დიდი სტიმულია! დაბოლოს, ნება მომეცით თქვენი საშუალებით გულითადი სალამი და კეთილი სურვილები გადავცე „ლელოს“ მკითხველებს და ვუსურვო მათ თბილისის „დინამოს“ წარმატებები 1975 წლის საკავშირო ჩემპიონატში, თასის გათამაშებაში.

მ. კაკაბაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ვარშავა — თბილისი.

* * *

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი მატჩის შემდეგ. მარცხნიდან — კ. დეინა, ჰ. კასპერჩაკი და ი. გორგონი.

ე. ვარმინსკის ფოტო.

თბილისის მინდვრებზე

ცხრა თვეს მიმდინარეობდა თბილისის ჩემპიონატი — დედაქალაქის ჩემპიონობისთვის ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების 14 გუნდი იბრძოდა.

ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა სპორტკლუბ „ელვის“ გუნდმა (მწვრთნელი ი. კანდელაკი, ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი უ. მოსაშვილი). ეს წარმატება იმით აიხსნება, რომ საწარმოში კარგადაა დაყენებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმე, კერძოდ, სათანადო ყურადღებას უთმობენ ფეხბურთის განვითარებას.

II ადგილი დაიკავა მსუბუქი ტაქსების № 3 დაწესებულების „თოლიამ“ (მწვრთნელი რ. ჩალობიანი), ხოლო III — მწვრთნელთა სკოლის გუნდმა (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ო. რუხაძე).

II ჯგუფში წარმატებას მიაღწიეს „ინემშენმა“ (მწვრთნელი გ. გვანცელაძე) და ტელესტუდიის გუნდმა (მწვრთნელი ნ. ბერიძე), რომლებიც წლეულს I ჯგუფის გუნდებს შორის ითამაშებენ.

II ჯგუფში გამოვლენ ქარხანა „მიკროძრავისა“ (მწვრთნელი ა. კოჩკელოვი) და საშენ მასალათა კომბინატის (მწვრთნელი თ. მამფორია) გუნდები, რომლებმაც ეს უფლება მოიპოვეს III ჯგუფის ტურნირში.

თბილისის საფეხბურთო შეჯიბრებები შარშან საინტერესოდ ჩატარდა, მაგრამ დადებით მხარეებთან ერთად მას ხარვეზებიც ჰქონდა.

კარგი მსაჯობით გამოიჩინეს თავი ნ. ამირეჯიბმა, თ. სადილიანმა, ვ. უჯიბიამ, მ. მიმინოშვილმა, რ. ფანჯარაშვილმა, თ. ლაცაბიძემ, დ. კვინიკაძემ, ვ. კლიშჩენკომ, ნ. კლოჩკოვმა, ზ. კოხრეიძემ, გ. სეფიაშვილმა და სხვებმა, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი მოწინავე მსაჯი თავს არიდებს საქალაქო შეჯიბრებათა მომსახურებას. ასეთთა შორის დავასახელებთ ო. ალავიძეს, თ. კალანდაძეს, მ. დუბროვინს, ა. სიანოზოვს, მ. ოგანიანს, რ. გაბისონიას, ა. ჯანანაშვილს, თ. გრიგორაშვილს.

დისციპლინის დარღვევათა შემთხვევებმა წინა წელთან შედარებით საგრძნობლად იკლო, მაგრამ წესრიგის დარღვევის ცალკეული ფაქტები მაინც აღინიშნებოდა. დასანანია, რომ უწესობას ვერ ასცდნენ პრიზიორებიც — „ელვა“, „თოლია“ და მწვრთნელთა სკოლის გუნდი. ინციდენტები მოხდა „ავტომობილისტის“, ფიზკულტურის ინსტიტუტის, № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნისა და სხვა კოლექტივებში.

ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა თუჯსასხმელი ქარხნის გუნდის წევრის ფოლადიანის საქციელმა, რომლის აღვირახსნილი უხეშობის შემდეგ ერთ-ერთი ფეხბურთელი საავადმყოფოში აღმოჩნდა. ხულიგანი სათანადოდ დაისაჯა. ამას გარდა, უდისციპლინო საქციელით გამოირჩეოდა სტუდქალაქის გუნდიც.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ, რომ წარსულში თბილისური ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი რამდენიმეჯერ არ გამოცხადდა კალენდარულ მატჩებზე. გუნდს საერთოდ არ გააჩნია ერთიანი სპორტული ფორმა და არც სათამაშო მინდორი აქვს მოწესრიგებული. ამგვარი რამ შეიმჩნევა ზოგიერთ სხვა გუნდშიც.

ჯერ კიდევ ცუდად დგას საფეხბურთო მინდვრების საქმე. ამ მხრივ სხვადასხვა ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებით გამოირჩევიან მხოლოდ მაუდ-კამვოლის კომბინატის და „ჯანმრთელობის“ სტადიონები.

კვლავ გამოვთქვამთ საყვედურს ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის წევრთა მიმართ, რომლებიც ნაკლებ აქტიურობას იჩენენ საქალაქო შეჯიბრებათა მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ახალი საფეხბურთო სეზონი კარზეა მომდგარი. იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი უფრო საინტერესოდ და მაღალ ორგანიზაციულ დონეზე წარიმართება, ვიდრე შარშანდელი.

ა. აბულაშვილი,

თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი.

* * *

მოგვყავს თბილისის 1974 წლის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი I ჯგუფის გუნდებისთვის:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ელვა“	26	17	8	1	68—24	42
„თოლია“	26	17	6	3	57—18	40
მწვრთნ. სკ.	26	14	8	4	35—18	36
უნივერსიტ.	26	16	3	7	60—31	35
„ივერია“	26	15	4	7	53—30	34
„ელმავალი“	26	14	6	6	38—35	34
პოლიტექნ. ინსტ.	26	13	7	6	48—30	33
„მეფოლადე“	26	9	6	11	24—44	24
ფიზკ. ინ II	26	9	3	14	31—35	21
სამედ. ინსტ.	26	8	4	14	44—71	20
„ავტომობ.“	26	7	2	17	23—67	16
სტუდქალაქი	26	3	5	18	20—25	11
№ 1 ავტოშემკ. ქარხ.	26	3	4	19	29—51	10
სას.-სამეურნ. ინსტ.	26	4	1	21	26—69	9

* * *

სურათზე: თბილისის 1974 წლის ჩემპიონი „ელვა“.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

* * *

დადგინდა თბილისის მსაჯთა საუკეთესო ათეული (მოგვყავს ანბანის მიხედვით): ა. აბულაშვილი, ნ. ამირეჯიბი, გ. გვანცელაძე, გ. დოლენჯაშვილი, დ. კვინიკაძე, ნ. კლოჩკოვი, მ. მიმინოშვილი, თ. სადილიანი, გ. სეფიაშვილი, რ. ფანჯარაშვილი.

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · Sportowiec · Народен спорт

ობიექტივში მსოფლიო

ამ სურათებზე აღბეჭდილ სპორტსმენთა მოვალეობა რაშების „მოთვინიერებაა“, მაგრამ ეს რაშები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთ-ერთი მათგანი სულიერი არსებაა, ჯანსაღ სხეულში გული უფეთქავს, დანარჩენები კი, მიუხედავად იმისა, რომ მათი „ორგანიზმებიც“ ჯანსაღია, ნამდვილად უსულონი არიან. როგორც მარცხენა სურათიდან ჩანს, სულიერი რაშის მორჯულება უფრო რთული საქმე ყოფილა, თუმცა რკინის რაშის მოთოკვაც არაა ადვილი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მაღლა იფრინა, ინგლისელი ცხენოსანი დიკ პიტმენი ოდნავაც არ დაშავებულა.

პოლონელი სპიდვეისტები მსოფლიოში ამ სახეობის უძლიერეს ოსტატთა რიცხვში არიან. სურათზეც სწორედ ერთ-ერთ მათგანს ხედავთ.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

ჩოგბურთის მთელი სამყარო

პრაღის გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტის“ რედაქციის თხოვნით სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვერა სუკოვამ და რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ანტონინ ბოლარდტმა შეადგინეს მსოფლიოს და ევროპის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულები 1974 წლის სეზონის შედეგების მიხედვით. ამასთან ამ ორმა სპეციალისტმა მოკლედ დაახასიათა კიდეც ყველა ლაურეატი.

მსოფლიოს უძლიერესი ათეული ვაჟთა შორის:

1. ჯიმი კონორსი (აშშ, დაიბადა 1952 წ.). წლის განმავლობაში გაიმარჯვა უიმბლდონში, ფორესტ ჰილსში (აშშ-ს ღია ჩემპიონატი), ავსტრალიის ღია ჩემპიონატში. იგი უყოყმანოდ უნდა მივიჩნიოთ თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად. აქვს უნაკლო ფიზიკური მომზადება, უზადო ტექნიკა.

2. გილერმო ვილასი (არგენტინა, 1952). ეს არის მაღალი ტექნიკისა და დახვეწილი ტაქტიკის მოთამაშე. მართალია, წლის განმავლობაში არ მოუგია არც ერთი დიდი ტურნირი (უიმბლდონი, საფრანგეთის, აშშ-სა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატები), მაგრამ I ადგილზე გავიდა შვიდ ძლიერ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტურნირი მელბურნში, სადაც სძლია ნიუკომბსა და ნასტასეს. 1974 წელს ითამაშა ოც საერთაშორისო ტურნირში.

3. კენ როზუოლი (ავსტრალია, 1934). საერთაშორისო ჩოგბურთის ამ ვეტერანმა უიმბლდონის ტურნირის ფინალურ მატჩში, კონორსთან წაგების მიუხედავად, მაყურებლების დიდი სიმპათია მოიხვეჭა. გავიდა ფორესტ ჰილსის ტურნირის ფინალშიც. 1974 წელს ითამაშა სულ ექვს ტურნირში, მაგრამ ცხადყო, რომ ჩინებულ ფორმას ინარჩუნებს.

4. ბიორნ ბორგი (შვეცია, 1956). ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელთა შორის. ჩინებულად მოიგო იტალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები. ასაკის მიუხედავად, უკვე საკმაო გამოცდილება და მაღალი ტექნიკა აქვს. უდავოდ დიდი მომავლის ჩოგბურთელია.

5. ილიე ნასტასე (რუმინეთი, 1946). გავიდა იტალიის ღია ჩემპიონატის ფინალში (წააგო ბორგთან), საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მეოთხედფინალამდე მიაღწია, უიმბლდონში — მერვედფინალამდე. წლის დამლევს პროფესიულ ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში (დალასი) II ადგილზე გავიდა!

6. ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია, 1944). შარშან გაიმარჯვა პროფესიულ ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში. ეს წოდება რ. ლეივერს (ავსტრალია) ჩამოართვა. ნაკლები წარმატებით ითამაშა ფორესტ ჰილსსა (ნახევარფინალამდე მივიდა) და უიმბლდონში (მეოთხედფინალში გავიდა).

7. სტენ სმითი (აშშ, 1946). შარშანდელ სეზონში უარესად თამაშობდა, ვიდრე უწინ. საკმაოდ უფერულად გამოვიდა როგორც რომში (იტალიის ღია ჩემპიონატი), ისე ფორესტ-ჰილსშიც. ცოლად შეირთო ჩოგბურთელი გენგლერი და საერთოდ ცოტას თამაშობდა.

8. მანუელ ორანტესი (ესპანეთი, 1949). ამ ახალგაზრდა ჩოგბურთელს აშკარა პროგრესი ეტყობა: საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ფინალში გავიდა, იტალიის ღია პირველობაში კი მეოთხედფინალამდე მიაღწია. უიმბლდონის ტურნირში 16 უძლიერესს შორის იყო.

9. ალექსანდრე მეტრეველი (სსრ კავშირი, 1944). საბჭოთა ჩოგბურთელი დიდი წარმატებების შემდეგ მსოფლიოს უძლიერეს მოთამაშეთა ათეულში მოხვდა. მეტრეველი უიმბლდონსა და ფორესტ ჰილსში 8 უძლიერეს ჩოგბურთელს შორის იყო.

10. იან კოდეში (ჩეხოსლოვაკია, 1946). ცოტა არ იყოს, უიღბლო სეზონი ჰქონდა. როგორც უიმბლდონის, ისე ფორესტ ჰილსის შეჯიბრებაში წილისყრამ მაინცდამაინც კონორსს შეახვედრა. ჰქონდა ცალკეული წარმატებებიც — დალასში დაამარცხა ნასტასე, ბოსტონში (აშშ) მასპინძელი, ა. ეში.

ევროპის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეული, სუკოვას და ბოლარდტის აზრით, ასეთია:

1. ბორგი, 2. ნასტასე, 3. ორანტესი, 4. მეტრეველი, 5. კოდეში, 6. ოკერი (ჰოლანდია, დაიბადა 1944 წელს), 7. ტაროცი (უნგრეთი, 1954), 8. გისბერტი (ესპანეთი, 1942), 9. ჟოფრე (საფრანგეთი, 1942), 10. პანატა (იტალია, 1950).

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ევროპაში დაწინაურდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა თაობა, რომელთა შორის პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნონ ბიორნ ბორგი და ევროპის ჩემპიონი მოყვარულთა შორის ბალაშ ტაროცი. სუკოვა და ბოლარდტი ასახელებენ იმ ნიჭიერი ახალგაზრდების ჯგუფს, რომელთა შორის არის ჩვენი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულიაც.

მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ათეული:

1. კრის ევერტი (აშშ, დაიბადა 1954 წელს). ეს ჩოგბურთელი (კონორსის მეუღლე) წარმოშობით ფლორიდიდანაა. გაიმარჯვა იტალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატებში, უიმბლდონის ტურნირში. ამ შეჯიბრებებში მოუგო თანამედროვეობის ყველა უძლიერეს ჩოგბურთელ ქალს. მისი დარტყმები უდიდესი სიზუსტით გამოირჩევა.

სურათზე: გამარჯვებული ცოლ-ქმარი — კრის ევერტი და ჯიმი კონორსი.

2. ბილი-ჯინ კინგი (აშშ, 1943). წარმოშობით კალიფორნიელია. უდავოდ დიდი როლი შეასრულა ქალთა ჩოგბურთის ემანსიპაციის საკითხში. დიდმა ოსტატობამ საშუალება მისცა ხუთგზის (!) გაემარჯვა უიმბლდონში, ოთხგზის — ფორესტ ჰილსში — ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში.

3. ივონ გულაგონგი (ავსტრალია, 1951). დიდი წარმატებები მოიპოვა 1970 წლის შემდეგ. მისი „სპეციალობა“ გახლავთ ბალახიან კორტებზე თამაში. ფორესტ ჰილსში, ფინალურ მატჩში კინგთან დამარცხების მიუხედავად, ბრწყინვალედ ითამაშა და ოვაცია დაიმსახურა. შემთხვევით როდი თქვეს ჟურნალისტებმა: „ქალთა ფინალს ორი გამარჯვებული ჰყავდა — კინგი და გულაგონგი“.

4. ოლგა მოროზოვა (სსრ კავშირი, 1949). 1974 წლის უიმბლდონის ტურნირის ფინალური მატჩის მონაწილე. 17 წლის ასაკიდან დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული: სამგზის გახდა ევროპის ჩემპიონი (1970, 1971 და 1973 წლებში), ჩინებულად თამაშობს მეტრეველთან წყვილში. იმპულსური ჩოგბურთელია.

5. კერი მელვილი (ავსტრალია, 1946). V ადგილი უძლიერესთა ათეულში ამ ავსტრალიელი ჩოგბურთელის უდიდესი მიღწევაა. სპეციალისტებისთვის მოულოდნელი იყო მისი გამარჯვება უიმბლდონში თანამემამულე გულაგონგთან. იქ იგი ნახევარფინალამდე მივიდა. ფორესტ ჰილსში 8 უძლიერესს შორის იყო.

6. როზმარი კაზალსი (აშშ, 1946). წლების განმავლობაში შედის მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში. კინგთან ერთად შეადგინა ერთ-ერთი საუკეთესო ქალთა წყვილი, რომელიც კი საერთოდ ყოფილა ჩოგბურთის ისტორიაში.

7. ვირჯინია უეიდი (დიდი ბრიტანეთი, 1945). თამაშობს ძლიერად, მაგრამ უთანაბროდ. ჩინებულ მიღწევებთან ერთად მოულოდნელი წარუმატებლობებიც აქვს. მაგალითად, აშშ-ს ღია ჩემპიონატის მეორე წრეში წააგო იაპონელ კიიომურასთან, მაგრამ გავიდა უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალში.

8. ჯული ჰელდმანი (აშშ, 1945). აქვს ნამდვილი მებრძოლის თვისებები. ბევრჯერ ყოფილა უძლიერესთა ათეულში. 1974 წელს მისი მთავარი მიღწევა იყო ფორესტ ჰილსში ნახევარფინალში გასვლა.

9. მარტინა ნავრატილოვა (ჩეხოსლოვაკია, 1956). თანამედროვე მანერით მოთამაშე ნიჭიერი, ახალგაზრდა ჩოგბურთელი. ევროპის 1974 წლის ჩემპიონი მოყვარულთა შორის. ითამაშა გფრ-ისა და იტალიის ღია ჩემპიონატების ფინალში. გავიდა აშშ-ს ღია პირველობის მერვედფინალში. ყველაზე ახალგაზრდაა ათეულში, უდავოდ დიდი მომავალი აქვს.

10. ფრანსუაზა დიური (საფრანგეთი, 1942). 1967 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, წარმატებით მონაწილეობს მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში, გამოირჩევა ნამდვილი მებრძოლის თვისებებით.

თავიანთს ვრცელ მიმოხილვას სუკოვა და ბოლარდტი ამთავრებენ ევროპის ქალთა ათეულის სიით:

1. მოროზოვა, 2. უეიდი, 3. ნავრატილოვა, 4 მასტჰოფი (გფრ, 1948), 5. დიური, 6. იაუსოვეცი (იუგოსლავია, 1956), 7. ებინჰაუზი (გფრ, 1948), 8. სტოვი (ჰოლანდია, 1945), 9. კროშინა (სსრ კავშირი, 1953), 10. კოჟელუჰოვა (ჩეხოსლოვაკია, 1951).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

სკობლარის თავისებური კონტრაქტი

გამოჩენილმა იუგოსლაველმა ფეხბურთელმა, 34 წლის სკობლარმა, რომელიც საფრანგეთში კარგა ხანს თამაშის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, თავისებურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი „რიეკასთან“. ეს ხელშეკრულება 1978 წლამდე გრძელდება, მაგრამ სკობლარი ვალდებულია მხოლოდ ორ წელიწადს ითამაშოს. შემდეგ იგი თავისუფალია, მაგრამ „რიეკა“ ვალდებულია მას კიდევ ორი წლის მანძილზე უხადოს გასამრჯელო.

ბანდიტობისთვის...

ესპანეთის პირველი ლიგის კლუბ „მურსიას“ საუკეთესო მოთამაშე პონსე პოლიციამ დააპატიმრა ბანკის არაერთგზის გაძარცვის ბრალდებით. პონსე ამტკიცებს, რომ არავითარი ბრალი არ მიუძღვის, მას კი დიდი თანხის გატაცება ბრალდება. თუ ყველაფერი ეს დამტკიცდა, ცუდად იქნება არა მარტო პონსეს, არამედ მისი კლუბის საქმეც. „მურსიას“ თავისი სადარდელი აქვს: იგი ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა.

„უნდა შეიქმნას ახალი გუნდი“

ასე ფიქრობს ამსტერდამის „აიაქსის“ მწვრთნელი კრააი. „ბარსელონაში“ კრუიფისა და ნესკენსის გადასვლამ მთლიანად შეცვალა ჰოლანდიის გუნდის თამაშის ნახაზი. ამას დავუმატოთ კაიზერის წასვლაც და ნათელი გახდება, თუ რატომ ჩაგრავენ „აიაქსს“ ჰოლანდიის ჩემპიონატში „ფსვ ეინდჰოვენი“ და „ფეიენოორდი“. ახლა ცნობილი გახდა, რომ ველარ ითამაშებს ცნობილი მცველი ჰულსჰოფიც, რომელსაც მუხლი იტკინა და მკურნალობა ძალიან გაუჭიანურდა.

ასეთ პირობებში ერთადერთი გამოსავალი, მწვრთნელის აზრით, ახალი გუნდის შექმნაა, ამას კი კარგა ხანი დასჭირდება, კრაი სთხოვს „აიაქსის“ დირექტორატს სათანადო მოთმინება გამოიჩინოს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 30550